„უკეთესი ჯანმრთელობა, უკეთესი გარემო, მდგრადი არჩევანი“

გარემოსა და ჯანმრთელობის
მე-6 მინისტერიალის კონფერენცია
ქ. ოსტრავა, ჩეხეთის რესპუბლიკა
2017 წლის 13 – 15 ივნისი

გარემოსა და ჯანმრთელობის მეექვსე მინისტერიალის კონფერენციის დეკლარაცია

გარემო ფაქტორები, რომლებიც შეიძლება თავიდან ავიცილოთ და/ან აღმოვფხვრათ, ყოველწლიურად 1.4 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზს წარმოადგენს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონში. ამ რეგიონში განმსაზღვრელი გარემო ფაქტორების მნიშვნელოვანი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე დაკავშირებულია არაგადამდებ დაავადებებთან, შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევებსა და არაგანზრახ დაზიანებებთან, რასაც თან ახლავს არსებულ და ახალი ტიპის გადამდებ დაავადებებზე კლიმატის ცვლილებითა და ბიომრავალფეროვნების განადგურებით განპირობებულ ზემოქმედებასა და უარყოფით რეპროდუქტიულ შედეგებთან დაკავშირებული მზარდი პრობლემა. არსებული და განვითარებადი გამოწვევების მომატება მოითხოვს დამატებით ძლიერი ერთობლივი ქმედებების განხორციელებას.

ჩვენ, გარემოსა და ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის წევრი სახელმწიფოების მინისტრები და წარმომადგენლები, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის დირექტორთან ერთად, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) ფარგლებში, ევროპის რეგიონის დირექტორის, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენლების, გაეროს სხვა ორგანიზაციების, მთავრობათაშორისი ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანდასწრებით,

შევიკრიბეთ გარემოსა და ჯანმრთელობის მეექვსე მინისტერიალის კონფერენციის ფარგლებში, რომელსაც გულუხვად მასპინძლობს ჩეხეთის რესპუბლიკა და ორგანიზებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისის, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიისა და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის ერთობლივი ძალისხმევით, ტარდება 2017 წლის 13-15 ივნისს ქ. ოსტრავაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, ერთიანი სამომავლო ღონისძიებების შესამუშავებლად, არსებული და მომავალი თაობებისათვის გარემო ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული დაავადებების ტვირთის შესამსუბუქებლად და ზემოხსნებულ ორ სექტორსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის სინერგიის ხელშესაწყობის მიზნით, რაც მდგრადი

განვითარებისათვის გაეროს 2030 წლის დღის წესრიგით გათვალისწინებული ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის მთავარი წინაპირობაა.

ჩვენ:

1. ვაღიარებთ, რომ გაეროს მდგრადი განვითარების 2013 წლის დღის წესრიგში ხაზგასმულია კრიტიკული და განუყოფელი ურთიერთკავშირი განვითარებას, გარემოს, ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას შორის, და ეკონომიკას უჭირავს მთავარი ადგილი ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრის მიღწევისათვის, მათ შორის სიცოცხლის უფლების; ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტის მიღწევა; ცხოვრების სათანადო სტანდარტი; უსაფრთხო საკვები, სასმელი წყალი და სანიტარია; უსაფრთხოება; და სუფთა ნიადაგი, წყალი და ჰაერი, რომლებიც მიზნად ისახავენ მომავალში მხოლოდ სამართლიანი, მშვიდობიანი, ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველმყოფი და წარმატებული საზოგადოებების არსებობის ხელშეწყობას, როგორც დღეს, ისე მომავალში;
2. ვადასტურებთ, რომ ჯანსაღი გარემოსა და ჯანმრთელობის პოლიტიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობისა და კეთილდღეობის საერთო მაჩვენებლის ზრდაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში და რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ყველაზე უფრო სასურველ სოციალურ და ეკონომიკურ სიკეთეებს განეკუთვნება, რომლებიც გარემოს სათანადოდ დაცვის შედეგია;
3. გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ: ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და გარემოს დაბინძურება, კლიმატის ცვლილება, მავნე ქიმიკატები და ეკოსისტემების დესტაბილიზაცია საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობის უფლებას, არაპროპორციულად აისახება სოციალურად დაუცველ და მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებზე, რითაც აღრმავებს უთანასწორობას;
4. ვაღიარებთ, თუ რაოდენ დადებითად აისახება ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა და მხარდაჭერას ვუცხადებთ პარიზის შეთანხმებას, სადაც ხაზგასმულია ჯანმრთელობის უფლების მნიშვნელობა იმ ღონისძიებების ფარგლებში, რომლებიც უნდა გატარდეს კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად;
5. ხაზს ვუსვამთ, რომ ყოველი მთავრობა და საჯარო უწყება, მმართველობის ნებისმიერ საფეხურზე, თანაბრადაა პასუხისმგებელი გლობალური გარემოს დაცვაზე სექტორებს შორის თანამშრომლობისა და მოქალაქეების ჩართულობის გზით, და პოლიტიკის ყველა დოკუმენტში გაითვალისწინონ გარემო საფრთხეებისაგან ყველა თაობის ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და ხელშეწყობა. აქედან გამომდინარე, მთავრობები და საჯარო უწყებები უნდა აცნობიერებდნენ, რომ მათმა გადაწყვეტილებებმა, ქმედებებემა და ღონისძიებებმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, თითოეული ქვეყნის ფარგლებში თუ ფარგლებს გარეთ;
6. ვაღიარებთ, რომ გაეროს 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის და „ჯანმრთელობა 2020“, და ევროპის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის პოლიტიკა გვავალდებულებს, ვიხელმძღვანელოთ შეთანხმებული

მრავალსექტორული სტრატეგიებით, რომლებშიც ხაზგასმულია სისტემური-მასშტაბის და მიუკერძოებელი პრევენციული ზომების საჭიროება გარემოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და ვითვალისწინებთ ჯანმრთელობის განმსაზღვრელი სოციალური დეტერმინანტებით განპირობებულ შედეგებს, განსაკუთრებით, რეგიონის მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად პრივილეგირებულ ჯგუფებთან მიმართებით;

7. ხელახლა ვაღიარებთ 1989 წელს გარემოსა და ჯანმრთელობის შესახებ მიღებულ ევროპულ ქარტიას და მასში გათვალისწინებულ პრინციპებს, და ჩვენ მიერ წინა მინისტრთა კონფერენციების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებს;
8. გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ გარემოსა და ჯანმრთელობის მეხუთე მინისტერიალის კონფერენციის ფარგლებში, 2015 წლისათვის დასახული სამი და 2020 წლისათვის დასახული ორი მიზანი ჯერ კიდევ მიუღწეველია.
9. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ვღებულობთ გადაწყვეტილებას:
   a. დავიცვათ და ხელი შევუწყოთ ყოველი ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, აღვკვეთოთ გარემოს დაბინძურებასა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული ნაადრევი სიკვდილიანობა, დაავადებები და უთანასწორობა;
   b. გავითვალისწინოთ მიუკერძოებლობა, სოციალური ინტეგრაცია და გენდერული თანასწორობა გარემოსა და ჯანმრთელობასთან მიმართებით წარმოებულ პოლიტიკაში, ბუნებრივ რესურსებსა და ეკოსისტემების სიკეთეებზე წვდომის ჩათვლით;
   c. განვახორციელოთ პროპაგანდირება მდგრადი წარმოებისა და მოხმარების შედეგად ჯანმრთელობისათვის მიღებული სარგებელის, შესაბამის ვადებში წიაღისეულიდან განახლებად ენერგიაზე გადასვლის, სუფთა და უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენების, ენერგოეფექტურ და დაბალი ემისიის მქონე ტრანსპორტზე გადასვლის და მობილობის ინტეგრირებისა ურბანულ და სივრცით დაგეგმარებაში.
   d. ვიშრომოთ ისეთი საზოგადოების, ინფრასტრუქტურებისა და ჯანდაცვის სისტემების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც მდგადია და მოქნილად პასუხობს, პირველყოვლისა, კლიმატის ცვლილებას;
   e. ვეცადოთ, ჯანმრთელი პლანეტისა და ხალხის ხედვის დამკვიდრებას, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონში გაწეული მუშაობით, შესაბამის სექტორებსა და დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობის გზით;
   f. გავაძლიეროთ ჩვენი გარემოსა და ჯანმრთელობის დღის წესრიგის მხარდასაჭერად არსებული საერთაშორისო და ნებაყოფლობით აღებული ვალდებულებების შესრულება;
   g. შევინარჩუნოთ და განვავითაროთ ჯანმრთელობასა და გარემოსთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეკრებისა და ანალიზის სათანადო მექანიზმები, რომლებსაც დაეფუძნება ჩვენი გადაწყვეტილებები, წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით;
   h. აქტიურად დავუჭიროთ მხარი გარემოსა და ჯანმრთელობასთან მიმართებით არსებული და ახალი ტიპის რისკების ღია, გამჭვირვალე და ადეკვატურ კვლევას, რომ გავამყაროთ მტკიცებულები, რითაც ვიხელმძღვანელებთ

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების პროცესში.

10. ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ევროპის გარემოსა და ჯანმრთელობის პროცესით, როგორც უკვე დამკვიდრებული სექტორებსშორისი და ინკლუზიური პროცესითა და პლატფორმით, მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგის შესასრულებლად და წინამდებარე დეკლარაციით გათვალისწინებული ამოცანების გადასაჭრელად საჭირო სტრატეგიულ დაგეგმვაში, კოორდინაციაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და პროგრესის ამსახველ ანგარიშგებაში წვლილის შესატანად;
11. კერძოდ, საზოგადოებრივ ჯანმრთელობის ფუნქციების გაძლიერებით ჯანდაცვის სისტემებში, გავაფართოვებთ საკუთარ შესაძლებლობებს ყველა სექტორის, სახელისუფლებო მმართველობის საფეხურისა თუ დაინტერესებული მხარის მოცვის მიზნით, რომ შევამციროთ გარემოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკები ჩვენი მოქალაქეებისათვის, და ხელს შევუწყობთ საზოგადოებრივ ჩართულობას, ინფორმაციაზე წვდომასა და სამართლიანობას გარემოსა და ჯანმრთელობასთან მიმართებით;
12. სახელმწიფო დონეზე დანერგვის ხელშეწყობით, ვეცდებით არსებული სურათის შეცვლას ჩვენი მოქალაქეების საკეთილდღეოდ. ამ მიზნით, შევიმუშავებთ ქმედებების ეროვნულ პორტფოლიოს გარემოსა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებით 2018 წლის ბოლომდე, რასაც დამოუკიდებელი დოკუმენტის სახე ექნება ან გახდება სხვა დოკუმენტების შემადგენელი ნაწილი, ქვეყანაში არსებული ვითარებიდან, საჭიროებებიდან, პრიორიტეტებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. აღნიშნული გეგმები დაეფუძნება წინამდებარე დეკლარაციის 1-ელ დანართს, რომელიც წარმოადგენს დეკლარაციის შესასრულებლად საჭირო შესაძლო ღონისძიებების კრებულს, მიმართულს შემდეგ საკითხებზე:
    a. შენობებს შიგნითა და გარეთ არსებული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, როგორც რეგიონში გარემოსთან დაკავშირებით ერთ-ერთი უმთავრესი რისკ-ფაქტორის, განხორციელებული ქმედებებით ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელო მოთხოვნების მიღწევა და გაუმჯობება უწყვეტი პროცესით.
    b. უსაფრთხო სასმელ წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე საყოველთაო, თანაბარი და მდგრადი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასათვის ყველგან, პარარელურად, ხელშეწყობა წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვისა და საიმედოდ დამუშავებული ნარჩენი წყლების განმეორებით გამოყენების, საჭიროების შემთხვევაში;
    c. ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ქიმიური ნივთიერებების მავნე ზემოქმედების მინიმუმადე დაყვანა, საშიში ქიმიური ნივთიერებების ნაკლებად სახიფათო, მათ შორის არაქიმიური, ალტერნატივებით ჩანაცვლების გზით; საშიში ქიმიურ ნივთიერებების ზემოქმედების შემცირება მოწყვლად ჯგუფებზე, განსაკუთრებით, ადამიანის განვითარების ადრეულ ეტაპებზე; რისკების შეფასებისათვის საჭირო შესაძლებლობების გაძლიერება და კვლევის გაღრმავება, ქიმიური ნივთიერებების ადამიანზე ზემოქმედებისა და გამოწვეული დაავადებათა ტვირთის უკეთ

გაცნობიერების მიზნით; და საჭიროების შემთხვევაში სიფრთხილის წინასწარი ზომების პრინციპის გამოყენება.

d. პრევენცია და აღმოფხვრა: გარემოსა და ჯანმრთელობაზე ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების; ნარჩენების მართვის, დაბინძურებულ ადგილებთან დაკავშირებული ხარჯებისა და უთანასწორობის ნარჩენების უკანონო, არაკონტროლირებადი გზით გადაყრისა და გადატანის აღკვეთით; და ნარჩენებისა და დაბინძურებული ადგილების რაციონალურ მართვას წრიულ ეკონომიკაზე გადასვლით;

e. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის რისკებზე ადაპტაციური შესაძლებლობების და მოქნილად რეაგირების შესაძლებლობის გაძლიერება, ღონისძიებების მხარდაჭერა კლიმატის ცვლილების შესარბილებლად და ჯანმრთელობის სასარგებლოდ, პარიზის შეთანხმების შესაბამისად;

f. ევროპის ქალაქებისა და რეგიონების ძალისხმევის მხარდაჭერა, რომელიც მიმართულია გაჯანსაღებაზე, მეტ ჩართულობაზე, უსაფრთხოებაზე, მოქნილობასა და მდგრადობაზე, ურბანული და სივრცითი დაგეგმარებისადმი ინტეგრირებული, გონივრული და ჯანმრთელობის ხელშემწყობი მიდგომის დანერგვით, მობილობის მართვით, სხვადასხვა სამთავრობო დონეზე ეფექტური, შეთანხმებული და თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებით, ანგარიშგების უფრო ძლიერი მექანიზმების, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარებით, ახალი ურბანული დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთიანი ხედვის შესაბამისად;

g. ეკოლოგიურად მდგრადი ჯანდაცვის სისტემების შექმნა და გარემოზე მათი ზემოქმედების შემცირება ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა ენერგიისა და რესურსების ეფექტური გამოყენება, სამედიცინო პროდუქციისა და ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვა მათთვის განსაზღვრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და ეკოლოგიური დაბინძურების შემცირება ნარჩენებისა და ნარჩენი წყლების უსაფრთხო მართვით, ჯანდაცვის სამსახურების სანიტარიული მისიაზე ზიანის მიყენების გარეშე.

13. ქმედებების ეროვნული პორტფოლიოს საფუძველზე, ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ გარემოსა და ჯანმრთელობის მეხუთე მინისტერიალის კონფერენციის ფარგლებში დასახული ხუთი განსაზღვრული ვადის მქონე მიზნის მისაღწევად, რომლებიც მოიცავენ: ბავშვებისათვის თამბაქოს კვამლისაგან თავისუფალი გარემოს შექმნას, აზბესტთან დაკავშირებული დაავადებების აღმოსაფხვრელად სახელმწიფო პროგრამების შემუშავებას, მავნე ნივთიერებებთან კონტაქტით გამოწვეული რისკების იდენტიფიცირებას, თავიდან აცილებას და მათი მაქსიმალურად აღმოფხვრას, რამდენადაც ეს შესაძლებელია 2015 წლისათვის; წყალთან, სანიტარიასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას ბავშვთა დაწესებულებებში, და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების ფიზიკურ აქტივობას 2020 წლისათვის.

14. აღნიშნული პრიორიტეტული ღონისძიებების გასატარებლად, ჩვენ:

a. მონაწილეობას მივიღებთ სახელმწიფო დონეზე განხორციელების საკითხებში, ცოდნის გაზიარებისა და თანამშრომლობისა და

კომუნიკაციისათვის საჭირო პლატფორმის შემუშავების უზრუნველყოფის გზით;

b. განვახორციელებთ რესურსების მობილიზაციას, გავზრდით ან გავაერთიანებთ შესაძლებლობებს, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ორმხრივ და მრავალმხმრივ საერთაშორისო თანამშრომლობას;

c. ხელს შევუწყობთ თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებას, ევროპის გარემოსა და ჯანმრთელობის პროცესის, პროცესის „გარემო ევროპისათვის“, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის, გარემოსა და ჯანმრთელობის შესახებ შესაბამისი მრავალმხრივი შეთანხმებების აღმასრულებელი უწყებების, სექტორებსშორისი პროგრამების, პროცესებისა და პოლიტიკის შერწყმას;

d. გავაუმჯობესებთ არსებული, კერძოდ ევროპის გარემოსა და ჯანმრთელობის პროცესიდან გამომდინარე ვალდებულებებისა და ინსტრუმენტების („ტრანსსასაზღვრო წყლებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ კონვენციის ოქმი „წყლისა და ჯანმრთელობა“ და „ტრანსპორტის, გარემო და ჯანმრთელობა“ პან-ევროპული პროგრამა - THE PEP), ჯამრთელობის მსოფლიო ასამბლეისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული კომიტეტის რეზოლუციებისა და გარემოსა და ჯანმრთელობის სექტორების მიერ ერთობლივად განსახორციელებელი კონვენციებისა და შესაბამისი ინსტრუმენტების დანერგვას;

e. განვამტკიცებთ ჯანმრთელობისა და გარემოს სფეროში მოღვაწე პროფესიონალების ცოდნასა და შესაძლებლობებს ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესაფასებლად, შემდგომი განათლებისა და სწავლების გზით;

f. გავზრდით ფორმალური და არაფორმალური განათლების როლს ჯანმრთელობასა და გარემოსთან დაკავშირებულ კომპლექსური პრობლემების და მათი გადაწყვეტის ეფექტურ გზების შესახებ საზოგადოების გათვითცნობიერების მიზნით;

g. გავაგრძელებთ და გავაფართოვებთ საკვანძო, სტრატეგიულ და ინსტიტუციურ პარტნიორობას, შესაბამისი მთავრობათაშორისი და არასახელმწიფო სტრუქტურების სათანადო ჩართულობის უზრუნველყოფით;

h. წავახალისებთ ევროპის გარემოსა და ჯანმრთელობის ახალგაზრდულ კოალიციას (EEHYC), რომ მათ განაგრძონ აქტიური პარტნიორობა ევროპის გარემოსა და ჯანმრთელობის პროცესში, და ვიტვირთებთ ჩვენს ქვეყნებში ეროვნული ახალგაზრდული პლატფორმების შექმნისა და ევროპის გარემოსა და ჯანმრთელობის ახალგაზრდულ კოალიციასთან ერთად მუშაობის გაგრძელების ხელშეწყობის ვალდებულებას;

15. შევაფასებთ და ანგარიშში ავსახავთ აღებული ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით მიღწეულ შედეგებს, მდგრადი განვითარების მიზნებისა და მაჩვენებლების შესრულების შესახებ სახელმწიფო ანგარიშის წარდგენით;

16. ევროპის გარემოსა და ჯანმრთელობის პროცესის შესანარჩუნებლად, მხარს დავუჭერთ და მონაწილეობას მივიღებთ წინამდებარე დეკლარაციის მე-2

დანართით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო ინსტიტუციურ ღონისძიებებში;

17. მოვუწოდებთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელ სტრუქტურებს, მხარი დაუჭირონ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის, არ დაიშურონ სათანადო ძალისხმევა საჭირო რესურსების მობილიზაციისათვის.
18. ჩვენ გადაწყვიტეთ, რომ ხელი შევუწყოთ აღებული ვალდებულებების შესრულებას როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო დონეზე, და გარემოსა და ჯანმრთელობის სფეროში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისისა WHO და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის UNECE საქმიანობას, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამასთან UNDP თანამშრომლობის გზით, ჩვენი ფინანსური შესაძლებლობებისა და საბიუჯეტო სახსრების გათვალისწინებით.

ხელმოწერილია 2017 წლის 15 ივნისს, ქ. ოსტრავაში, ჩეხეთის რესპუბლიკა.

ლუბომირ ზაორალეკი	დოქტორი სუზანა იაკაბი
ჩეხეთის რესპუბლიკის	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის
საგარეო საქმეთა მინისტრი	ევროპის რეგიონული ოფისის დირექტორი